

0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE

ინტერკულტურული განათლების პერსპექტივები საქართველოს ისტორიის
სწავლებისას

თამარ ფხალაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: tamar-pkhaladze@sou.edu.ge
დავით მალაზონია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: davit_malazonia@iliauni.edu.ge

რეზიუმე

სტატიაში ყურადღება ფოკუსირებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების საკითხებზე. კვლევის მიზანია, ფორმალური და არაფორმალური გარემოს როლის შესწავლა მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებაში, ასევე სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურული მგრძობელობის დონე და მის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 149 რესპონდენტმა (137 მოსწავლე და 12 მასწავლებელი). ინტერკულტურული კომპეტენციის განსაზღვრისას შეფასდა სამი კომპონენტი: ცოდნა, უნარები და დამოკიდებულება პიროვნულ დონეზე. დიაგნოსტიკის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ ისტორიის მოქმედი სახელმძღვანელოები არ/ან ნაკლებად არიან ორიენტირებულნი მულტიპერსპექტიული მიდგომებისა და კულტურული მრავალფეროვნების ინტეგრაციაზე. მასწავლებლები ინტერკულტურულ კომპეტენციებს აიგივებენ ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში არსებულ გამოწვევებთან და ნაკლებად აცნობიერებენ მონოკულტურულ სკოლებშიც ამ კომპეტენციების განვითარების საჭიროებას. მოსწავლეები ამჟღავნებენ დადებით დამოკიდებულებას განსხვავებული კულტურების მიმართ, მაგრამ მათი ცოდნა ზედაპირულია და ხშირად იკვეთება კულტურული იერარქიების არსებობა მათ თვითშეგნებაში. განხორციელებული ინტერვენციების შედეგად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაფიქსირდა ყველა კომპონენტში, განსაკუთრებით სტერეოტიპების ამოცნობის უნარის განვითარებასთან დაკავშირებით. ნაშრომის შედეგები გამოყენებადია ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებისთვის, სახელმძღვანელოებში მულტიპერსპექტიული მიდგომების ინტეგრირებისა და მასწავლებელთა გადამზადების პროგრამებში ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებისთვის, ასევე, სკოლის ორგანიზაციული კულტურის ტრანსფორმაციისა და საზოგადოებრივი ინტეგრაციის პოლიტიკის ფორმირებისთვის. ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს ხანგრძლივ და მრავალეტაპიან პროცესს, რომელიც მოითხოვს სისტემურ მიდგომას და არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ცალკეული საგნისა და მასწავლებლის ინდივიდუალური ძალისხმევით. განათლების სისტემის ღრმა ტრანსფორმაცია საჭიროა ისეთი ინსტიტუციური ჩარჩოს შესაქმნელად, რომელიც ეფექტურად მოამზადებს მოსწავლეებს აქტიური და პასუხისმგებელი მოქალაქეობისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინტერკულტურული კომპეტენცია, ისტორიის სწავლება, ინტერკულტურული განათლება, კულტურული მრავალფეროვნება, მულტიპერსპექტიული სწავლება.

შესავალი

ბენკსის (Banks, 2014) მიხედვით, ინტერკულტურული განათლება უნდა უზრუნველყოფდეს ისეთ საგანმანათლებლო გამოცდილებას, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება კრიტიკულად იფიქროს მათ საკუთარ კულტურაზე და სხვების კულტურაზე, განავითაროს ღია და ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული კულტურული ჯგუფების მიმართ.

მეცნიერული კვლევები აჩვენებს, რომ ისტორიის სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებისთვის, რადგან იგი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, განიხილონ განსხვავებული კულტურების ისტორიული გამოცდილება და მრავალფეროვანი პერსპექტივები (Seiler, 2013).

ინტერკულტურული განათლების წყალობით მოსწავლეებს მრავალფეროვან სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ სფეროში უკეთ ნავიგაციის უნარი უმუშავდებათ (Gollnick, Chinn, 2016). ინტერკულტურული განათლება გულისხმობს, როგორც ადამიანთა საზოგადოებების კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურული ურთიერთქმედების სწავლებას, ასევე ინტერკულტურული ურთიერთობებით ინიცირებულ კულტურათა ტრანსფორმაციასაც (Bleszynska, 2013).

საქართველოში ჩატარებული კვლევები (ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., 2013; მალაზონია დ., და სხვები, 2017) აჩვენებს, რომ დომინანტი ჯგუფის დამოკიდებულება განსხვავებული კულტურული იდენტობებისადმი მეტწილად ნაკლებ ტოლერანტულია. ინტერკულტურული მგრძობიანობისა და ურთიერთობის გამოცდილება ნაკლებია მონოეთნიკური თემის და, შესაბამისად, სკოლის მოსწავლეებში.

ძირითადი ნაწილი

კვლევის მიზანი და მეთოდები - წინამდებარე კვლევის მიზანია შეგვესწავლა:

(ა) მონოკულტურული სკოლების ეთნიკურად ქართველი მოსწავლეების, როგორც კულტურული უმრავლესობის წარმომადგენლების ინტერკულტურული ღირებულებები და დამოკიდებულებები;

(ბ) ფორმალური და არაფორმალური გარემოს როლი და შესაძლებლობა მოსწავლეთა ინტერკულტურული ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარების თვალსაზრისით;

(გ) სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურული კომპეტენციების დონე და ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ჩამოყალიბებაზე.

კვლევა ეყარება დიზაინზე დაფუძნებული კვლევის (Design-based research) პრინციპებს (Cobb et al., 2003), რაც გულისხმობს განათლების პრაქტიკის გაუმჯობესებას რეალურ სასკოლო გარემოში სწავლა-სწავლების ინოვაციური მოდელების შემუშავებისა და გამოცდის საშუალებით. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების კომბინაცია.

კვლევაში, რომელიც ჩატარდა 2024-2025 სასწავლო წელს მონაწილეობა მიიღო 149 რესპოდენტმა, აქედან: საბაზო და საშუალო სკოლის 137 მოსწავლე და 12 მასწავლებელი. კვლევა განხორციელდა თბილისის ოთხ საჯარო სკოლაში, სადაც ჩართული იყო საშუალო საფეხურის ისტორიის მასწავლებლები და X-XI კლასების მოსწავლეები.

კვლევის ფარგლებში პრობლემის სიღრმისეულად შესწავლისთვის გამოვიყენეთ:

1. **ჩაღრმავებული ინტერვიუ ისტორიის მასწავლებლებთან** - მიზნად ისახავდა მათი დამოკიდებულების დადგენას ინტერკულტურული განათლების საჭიროებასთან დაკავშირებით.
2. **ჩაღრმავებული ინტერვიუ მოსწავლეებთან** - მიზნად ისახავდა მათი ინტერკულტურული ღირებულებებისა და დამოკიდებულებების დადგენას, განსხვავებულ ჯგუფებთან ურთიერთობის გამოცდილების შესწავლას და ინტერკულტურული განათლების მხრივ სასწავლო პროცესით კმაყოფილების დონის გამოვლენას.
3. **ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან** - მიზნად ისახავდა განხორციელებული აქტივობების ეფექტურობის შეფასებას და მოსწავლეთა განწყობების ცვლილების გამოვლენას.
4. **გაკვეთილზე დაკვირვება** - ითვალისწინებდა მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდების ანალიზს ინტერკულტურული ღირებულებების განვითარების კუთხით.
5. **სტრუქტურირებული კითხვარი** - მიზნად ისახავდა ინტერვენციებამდე და შემდეგ მოსწავლეთა კომპეტენციების რაოდენობრივი ცვლილების გამოვლენას.

ინტერკულტურული კომპეტენციების განსაზღვრისას შევაფასეთ შემდეგი კომპონენტები:

ცოდნა პიროვნულ დონეზე: მოიცავს კულტურისა და პიროვნების ურთიერთკავშირის გაგებას, განსხვავებული ღირებულებებისა და ქცევითი ნორმების შესახებ ინფორმაციის ფლობას, სხვადასხვა კულტურის შესახებ ცოდნას და კულტურათა შორის კავშირების დანახვის უნარს.

უნარები პიროვნულ დონეზე: გულისხმობს კულტურასთან დაკავშირებული სტერეოტიპული შეხედულებების ამოცნობის შესაძლებლობას, კულტურებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების კრიტიკული ანალიზის, კულტურის შესასწავლად მრავალფეროვანი მეთოდების, საშუალებების ოპტიმალური გამოყენების უნარ-ჩვევებს.

დამოკიდებულება პიროვნულ დონეზე: მოიცავს კულტურული მრავალფეროვნებისადმი ღია და ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, განსხვავებული ენობრივი და კულტურული გამოვლინებების მიღებას.

დაგნოსტიკის ეტაპის შედეგები:

1. სახელმძღვანელოების ანალიზი ისტორიის სწავლების თანამედროვე მოთხოვნების კონტექსტში - ისტორიის მოქმედი სახელმძღვანელოების (2021-2023 წწ.) ანალიზმა ცხადყო, რომ წარმოდგენილი სასწავლო რესურსები რიგ შემთხვევებში აფერხებს მოსწავლეებში სხვა კულტურების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რადგან ისინი არ/ან ფრაგმენტულად არიან ორიენტირებულნი მულტიპერსპექტიული მიდგომების, ალტერნატიული ისტორიული

ინტერპრეტაციების და კულტურული მრავალფეროვნების ინტეგრაციაზე. სასწავლო რესურსები და მეთოდური აპარატი სუსტად ითვალისწინებს ისტორიული მოვლენების/პროცესების ახსნას განსხვავებული პერსპექტივებისა და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, ან საქართველოს სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების პროცესში კულტურული მრავალფეროვნებისა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების როლის განსაზღვრას.

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები - (ა) უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მოსწავლეებში ნაკლებად აწყდებიან პრობლემებს განსხვავებული კულტურების მიმდებლობის კუთხით, თუმცა ეს შეფასება ძირითადად ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ მათ სკოლებში მცირე რაოდენობით სწავლობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მასწავლებელთა ნაწილი ინტერკულტურულ კომპეტენციებს აიგივებს ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში არსებულ გამოწვევებთან და ნაკლებად აცნობიერებს მონოკულტურულ სკოლებშიც ამ კომპეტენციების განვითარების საჭიროებას; (ბ) მოსწავლეთა ინტერკულტურული ცოდნის ძირითად წყაროდ დაასახელა ინტერნეტსივრცე. ეს მიუთითებს სკოლის კურიკულუმისა და სახელმძღვანელოების შეზღუდულ შესაძლებლობებზე ინტერკულტურული განათლების მიმართულებით; (გ) ინტერკულტურული განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხშირად ეპიზოდური და არათანმიმდევრული ხასიათისაა, რაც ხელს უშლის ინტერკულტურული კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას მოსწავლეებში.

3. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგები - (ა) უმრავლესობა დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს განსხვავებული კულტურების მიმართ, თუმცა ხშირად მათი ცოდნა ზედაპირულია. ისინი კულტურას ძირითადად რელიგიასთან აიგივებდნენ და ნაკლებად იცნობდნენ კულტურის სხვა ასპექტებს - ენას, ხელოვნებას, ყოველდღიურ ცხოვრებას, ღირებულებათა სისტემას; (ბ) კულტურების დაყოფა „კარგ“ და „ცუდ“, „განვითარებულ“ და „განუვითარებელ“ კულტურებად მიუთითებს კულტურული იერარქიების არსებობაზე მოსწავლეთა თვითშეგნებაში და ზოგიერთი კულტურის მიმართ უპირატესობის განცდაზე; (გ) უმრავლესობა კულტურას განიხილავს, როგორც სტატიკურ და უცვლელ ფენომენს, რაც ხელს უშლის მათი დინამიური ბუნების გაგებას და სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში ადაპტაციის უნარის განვითარებას.

4. რაოდენობრივი კვლევის შედეგები (ინტერვენციამდე) - (ა) ცოდნის კომპონენტი: მოსწავლეთა 80.5% ეთანხმებოდა, რომ სხვადასხვა კულტურას განსხვავებული წესები, ფასეულობები და ქცევა ახასიათებს, რაც მიუთითებს კულტურული განსხვავებების ზოგად გაცნობიერებაზე. 77.7% თვლის, რომ ყველა კულტურა თანაბრად პატივსაცემია, თუმცა ღია პასუხებში ხშირად გამოიკვეთა კულტურული იერარქიები. 71.6% ეთანხმებოდა, რომ კულტურების შესახებ ცოდნა აადვილებს ადამიანების ურთიერთობას, რაც პოზიტიური დამოკიდებულების საფუძველს წარმოადგენს; (ბ) უნარების კომპონენტი: მოსწავლეთა 70.6% აღნიშნავს, რომ კულტურის გასაცნობად იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, თუმცა, ძირითადად, ინტერნეტ რესურსებს ეყრდნობიან. 68.8% თვლის, რომ შეუძლია კულტურებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების ამოცნობა, მაგრამ პრაქტიკული დავალებების შესრულებისას ეს უნარი მყიფე აღმოჩნდა. მხოლოდ 35.0%-ს შეეძლო კულტურასთან დაკავშირებული სტერეოტიპული შეხედულებების ამოცნობა; (გ) დამოკიდებულების კომპონენტი: 80.3% ღიად არის განწყობილი განსხვავებული ქცევითი ნორმებისა და რიტუალების მიმართ, რაც ტოლერანტული მიდგომის საფუძველს წარმოადგენს. 72.7% პატივს სცემს ნებისმიერი კულტურის ადამიანს, თუმცა კონკრეტული სიტუაციების განხილვისას ხშირად გამოიკვეთა შინაგანი მიკერძოებულობა. მხოლოდ 27.5% გამოთქვამს მზადყოფნას იცხოვროს განსხვავებულ კულტურულ გარემოში, რაც ღრმა ინტერკულტურული ინტეგრაციის ნაკლებობაზე მიუთითებდა.

განხორციელებული ინტერვენციები:

1. გაკვეთილის გეგმის მოდიფიცირება - მასწავლებლებთან შეთანხმებით და მათი მონაწილეობით ჩატარდა მოდიფიცირებული გაკვეთილი საქართველოში რუსეთის იმპერიის დემოგრაფიულ პოლიტიკაზე. გაკვეთილის მიზანი იყო სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ერთპერსპექტიული ხედვის შეცვლა მულტიპერსპექტიული მიდგომით;

2. „ინტერაქტიული ისტორიული მუზეუმი“ - მოსწავლეებმა შექმნეს ვირტუალური და ფიზიკური ექსპოზიცია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;

3. „ისტორიული კვლევის ლაბორატორია“ - მოსწავლეებმა მოიძიეს მასალები და ჩაატარეს მინი-კვლევები საქართველოში მოღვაწე ეთნიკურად არაქართველი პირების შესახებ;

4. „კულტურის ელჩების პროგრამა“ - მოსწავლეები დაუკავშირდნენ თბილისის არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებს და გახდნენ ერთმანეთის კულტურის „ელჩები“ - ერთმანეთს გააცნეს საკუთარი ტრადიციები და თანამედროვე ცხოვრების გამოცდილება;

5 „ციფრული ისტორიის პლატფორმა“ - მოსწავლეებმა შექმნეს ონლაინ რესურსი საქართველოს კულტურულ მრავალფეროვნებაზე.

ინტერვენციების შედეგების შეფასება - ინტერვენციების დასრულების შემდეგ ჩატარებულმა გამოკითხვამ შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოავლინა: *ცოდნის კომპონენტში*: კულტურული განსხვავებების გაცნობიერება გაიზარდა 80.5%-დან 86.2%-მდე (+5.7%), ყველა კულტურის თანაბარი პატივისცემის მაჩვენებელი გაუმჯობესდა 77.7%-დან 86.4%-მდე (+8.7%), ხოლო კულტურული ცოდნის მნიშვნელობის გაგება 71.6%-დან 79.3%-მდე (+7.7%) გაიზარდა; *უნარების კომპონენტში*: განსხვავებული კულტურების გაცნობის პროცესში მრავალფეროვანი მეთოდების/საშუალებების გამოყენების მაჩვენებელი გაიზარდა 70.6%-დან 82.8%-მდე (+12.2%), კულტურული მსგავსებებისა და განსხვავებების დანახვის უნარი 68.8%-დან 76.5%-მდე (+7.7%) გაუმჯობესდა, ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესი კი სტერეოტიპების ამოცნობის უნარში დაფიქსირდა - 35.0%-დან 48.2%-მდე (+13.2%); *დამოკიდებულებების კომპონენტში*: განსხვავებული ნორმების მიღება 80.3%-დან 88.7%-მდე (+8.4%) გაიზარდა, ნებისმიერი კულტურის ადამიანის პატივისცემა 72.7%-დან 82.1%-მდე (+9.4%) გაუმჯობესდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კი განსხვავებულ კულტურულ გარემოში ცხოვრების მზადყოფნაში დაფიქსირდა - 27.5%-დან 42.8%-მდე (+15.3%).

ინტერვენციების შედეგების შეფასება მოხდა მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფის საშუალებით. გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია - განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების შესახებ მოსწავლეების ნარატივები გახდა უფრო ნუანსური და მრავალფეროვანი და მათ მიმართ დამოკიდებულება დადებითი ნიშნით შეიცვალა - „ეთნიკური უმცირესობების მიმართ ცუდი დამოკიდებულება არც მანამდე მქონდა, მაგრამ თუ ასე უყვარდათ საქართველო არ მეგონა“.

დასკვნა

კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ მოსწავლეთა ინტერკულტურული ღირებულებები და დამოკიდებულებები მნიშვნელოვნად და მდგრადად შეიცვალა განხორციელებული ინტერვენციების შედეგად. მათ გამოავლინეს კულტურული მრავალფეროვნებისადმი გაცილებით ღია და ღრმა დამოკიდებულება, განივითარეს კულტურული სხვადასხვაობის მიმართ ინტერესი და კრიტიკული აზროვნების უნარები, რომლებიც მათ დაეხმარება მომავალში კულტურული სტერეოტიპებისა და წინასწარი განსჯების დამლევაში.

ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება და ზოგადად ინტერკულტურული განათლების ეფექტური დანერგვა წარმოადგენს ხანგრძლივ და მრავალეტაპიან პროცესს, რომელზე პასუხისმგებლობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ცალკეული საგნისა და მასწავლებლის ინდივიდუალური ძალისხმევით. ამ პროცესში სისტემური ჩართულობა მოითხოვს სკოლის ორგანიზაციული კულტურისა და მთლიანად განათლების სისტემის ღრმა ტრანსფორმაციას, რათა შეიქმნას ისეთი ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც ეფექტურად მოამზადებს მოსწავლეებს კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში აქტიური და პასუხისმგებელი მოქალაქის როლის წარმატებული შესრულებისთვის.

ლიტერატურა

1. Banks, J. A. (2014). An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson.
2. Bleszynska, K.M. (2013). Intercultural Education in Post-Communist Countries, in Grant, C.A. and Portera, A. (eds.), Intercultural and Multicultural Education: Enhancing Global Interconnectedness. Taylor & Francis.
3. Gollnick, D.M., Chinn, P. C. (2016). Multicultural Education in a Pluralistic Society, (10th Ed.). Pearson.
4. Seiler, G. (2013). New metaphors about culture: Implications for research in science teacher preparation. Journal of Research in Science Teaching, 50(1), 104-121.
5. Tabatadze, S., Gorgadze, N. (2013). Research on Aspects of Intercultural Education at the Primary Level of Georgian Schools. Research Report. Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relations.

6. Malazonia, D., Maghlakelidze, S., Chiaberishvili, N., Gakheladze, G. (2017). Factors in the Development of Students' Intercultural Competencies in the Georgian Context. *Cogent Education*, Volume 4, No. 1.

Perspectives on Intercultural Education in Teaching Georgian History

Tamar Pkhaladze, Davit Malazonia

Abstract

This article explores the development of intercultural competencies among students in general education institutions. The study examines the role of both formal and informal learning environments in fostering these competencies, as well as the level of intercultural sensitivity within school communities and the factors that influence its formation. The research involved 149 respondents (137 students and 12 teachers). Intercultural competence was defined through three components - knowledge, skills, and attitudes - assessed at the individual level. The diagnostic phase revealed that current history textbooks are either not aligned with, or only minimally aligned with, multiperspective approaches and the integration of cultural diversity. Teachers tend to associate intercultural competencies exclusively with challenges in ethnically diverse settings and show limited awareness of the need to develop these competencies in monocultural schools as well. While students display positive attitudes toward different cultures, their knowledge remains superficial, and cultural hierarchies are frequently evident in their perceptions. Following the implementation of targeted interventions, significant improvements were observed across all components, particularly in students' ability to recognize stereotypes. The findings of this research have practical implications for enhancing history teaching methodologies, integrating multiperspective approaches into textbooks, fostering intercultural competencies in teacher training programs, transforming school organizational culture, and shaping social integration policies. The development of intercultural competencies is a long-term, multi-stage process that requires a systematic approach and cannot be achieved through the isolated efforts of a single subject or teacher. Profound transformation of the education system is essential to establish an institutional framework that effectively prepares students for active and responsible citizenship.

Keywords: intercultural competence, history teaching, intercultural education, cultural diversity, multiperspective learning.